11.03.2014

პირდაპირი უცხოური ინვესტიციები

2013 წლის წლიური და 2013 წლის IV კვარტალი (წინასწარი)

2013 წელი (წინასწარი)

წინასწარი მონაცემებით, საქართველოში განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოცულობამ 2013 წელს 914 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა, რაც 6 პროცენტით აღემატება 2012 წლის წინასწარ და 0,3 პროცენტით - ამავე წლის დაზუსტებულ მონაცემებს.

ქვემოთ მოცემული დიაგრამა ასახავს საქართველოში განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების დინამიკას 2006-2013 წლებში.

დიაგრამა №1.

პირდაპირი უცხოური ინვესტიციები საქართველოში 2006-2013* წწ.
(მლნ. აშშ დოლარი)



*წინასწარი მონაცემები.

ამავე პერიოდში რეინვესტიციის ოდენობამ მთლიანი პირდაპირი უცხოური ინვესტიციების 28 პროცენტი შეადგინა. ცხრილი №1 ასახავს რეინვესტირებული თანხების წილს მთლიან პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებში 2006-2013 წლებში.

ცხრილი №1.

პირდაპირი უცხოური ინვესტიციების რეინვესტიცია საქართველოში 2006-2013* წწ.

	2006	2007	2008	2009	2010	2011	2012	2013*
რეინვესტიციის წილი მთლიან პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებში (%)	5.4	2.4	4.9	-8.4	28.1	30.0	13.2	35.9

*წინასწარი მონაცემები.

დიაგრამა №2.



*წინასწარი მონაცემები.

ცხრილი №2 ასახავს საინვესტიციო ნაკადების დინამიკას 2009-2013 წლებში. წინასწარი მონაცემებით, 2013 წელს საქართველოში პირდაპირი უცხოური ინვესტიციების შემომავალმა ნაკადებმა 1822 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა.

ცხრილი №2.

პირდაპირი უცხოური ინვესტიციები საქართველოში 2009-2013* წწ. (მლნ. აშშ დოლარი)

	2009	2010	2011	2012	2013*
პირდაპირი უცხოური ინვესტიციები, სულ	**658**	**814**	**1 117**	**912**	**914**
მათ შორის:					
შემომავალი ნაკადები	1 088	1 303	1 596	1 430	1 822
ინვესტორის მიმართ ვალდებულებების შემცირება	-429	-488	-478	-518	-908

*წინასწარი მონაცემები.

2013 წელს საქართველოში განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მიხედვით უმსხვილესი ინვესტორი ქვეყნები ასე განაწილდა (ცხრილი №3):

ცხრილი №3. ძირითადი პირდაპირი ინვესტორი ქვეყნები საქართველოში 2013 წლის მიხედვით (მლნ. აშშ დოლარი)

	2006	2007	2008	2009	2010	2011	2012	2013 *
სულ	**1 190**	**2 015**	**1 564**	**658**	**814**	**1 117**	**912**	**914**
მათ შორის:								
ნიდერლანდები	19	299	136	33	73	242	35	180
ლუქსემბურგი	0	9	6	9	7	43	42	145
ჩინეთი	5	7	-2	-2	-8	10	36	98
აზერბაიჯანი	78	41	24	30	58	138	59	95
თურქეთი	130	94	165	98	92	76	81	74
აშშ	183	84	168	-10	136	28	20	57
საერთაშორისო ორგანიზაციები	9	14	24	31	45	95	63	53
გაერთიანებული სამეფო	187	145	149	72	59	55	94	47
მალტა	-	-	-	-	17	6	32	42
არაბთა გაერთიანებული ემირატები	0	131	307	163	56	-52	24	33
დანარჩენი ქვეყნები	580	1 189	589	235	280	477	424	91

*წინასწარი მონაცემები.

დიაგრამა №3.



* წინასწარი მონაცემები.

უმსხვილესი ინვესტორი ქვეყნების წილმა მთლიან პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებში 2013 წლის წინასწარი მონაცემების მიხედვით 90 პროცენტი შეადგინა. ქვეყნების პროცენტულ სტრუქტურას განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მიხედვით გვიჩვენებს სექტორული დიაგრამა №4, რომლის მიხედვით პირველ ადგილზე ნიდერლანდები იმყოფება 20 პროცენტით, მეორეზე - ლუქსემბურგი 16 პროცენტით, ხოლო მესამეზე - ჩინეთი 11 პროცენტით.

დიაგრამა №4.



* წინასწარი მონაცემები.

პირდაპირი უცხოური ინვესტიციების განაწილება ეკონომიკის სექტორების ჭრილში, 2013 წლის მიხედვით, მოცემულია ცხრილში №4:

ცხრილი №4. პირდაპირი უცხოური ინვესტიციები ეკონომიკის სექტორების მიხედვით 2011-2013* წწ. (მლნ. აშშ დოლარი)

	2007	2008	2009	2010	2011	2012	2013 *
სულ	**2 015**	**1 564**	**658**	**814**	**1 117**	**912**	**914**
მათ შორის:							
ენერგეტიკა	363	295	-2	22	204	179	198
საფინანსო სექტორი	158	11	50	107	168	163	170
ტრანსპორტი და კავშირგაბმულობა	417	423	98	215	127	73	138
დამამუშავებელი მრეწველობა	312	188	125	175	120	168	124
მშენებლობა	172	57	105	5	48	42	54
სამთომოპოვებითი მრეწველობა	86	18	15	53	40	5	35
სოფლის მეურნეობა	16	8	22	9	15	16	32
უძრავი ქონება	31	278	147	119	225	53	27
ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური დახმარება	0	1	0	1	17	18	2
დანარჩენი სექტორები	461	286	97	108	154	196	134

* წინასწარი მონაცემები.

უმსხვილესი სექტორების წილმა (განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მიხედვით) 2013 წელს 82 პროცენტი შეადგინა. ყველაზე მეტი პირდაპირი უცხოური ინვესტიცია ენერგეტიკის სექტორში განხორციელდა და 198 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა, რაც მთლიანი პირდაპირი უცხოური ინვესტიციების 22 პროცენტია. მეორე ადგილზე იმყოფება საფინანსო სექტორი 170 მლნ. აშშ დოლარით, ხოლო მესამეზე - ტრანსპორტი და კავშირგაბმულობა 138 მლნ. აშშ დოლარით.

ეკონომიკის სექტორების მიხედვით 2013 წელს განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების პროცენტული განაწილება მოცემულია დიაგრამაში №5:

დიაგრამა №5.

უმსხვილესი პირდაპირი უცხოური ინვესტიციები ეკონომიკის სექტორების მიხედვით 2013* წელს



* წინასწარი მონაცემები.

2013 წლის IV კვარტალი

(წინასწარი)

წინასწარი მონაცემებით, საქართველოში განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოცულობამ 2013 წლის IV კვარტალში 217 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა, რაც 2012 წლის IV კვარტალის წინასწარ მონაცემებს 20 პროცენტით აღემატება, ხოლო ამავე პერიოდის დაზუსტებულ მონაცემებზე 7 პროცენტით ნაკლებია.

ქვემოთ მოცემული დიაგრამა ასახავს საქართველოში განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების დინამიკას 2011-2013 წლებში.

დიაგრამა №6.



*წინასწარი მონაცემები.

ცხრილი №5 ასახავს საინვესტიციო ნაკადების კვარტალურ დინამიკას 2011-2013 წლებში. წინასწარი მონაცემებით, 2013 წლის IV კვარტალში საქართველოში პირდაპირი უცხოური ინვესტიციების შემომავალმა ნაკადებმა 465 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა.

ცხრილი №5. პირდაპირი უცხოური ინვესტიციები საქართველოში 2011-2013* წწ. (მლნ. აშშ დოლარი)

	2011				2012				2013*			
	I	II	III	IV	I	II	III	IV	I	II	III	IV
პირდაპირი უცხოური ინვესტიციები, სულ	**210**	**248**	**317**	**343**	**261**	**218**	**199**	**234**	**226**	**232**	**239**	**217**
მათ შორის:												
შემომავალი ნაკადები	315	334	437	509	358	312	345	414	326	480	551	465
ინვესტორის მიმართ ვალდებულებების შემცირება	-106	-86	-121	-166	-97	-95	-146	-180	-100	-247	-312	-248

*წინასწარი მონაცემები.

2013 წლის IV კვარტალში საქართველოში განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მიხედვით უმსხვილესი ინვესტორი ქვეყნები ასე განაწილდა (ცხრილი №6):

ცხრილი №6. ძირითადი პირდაპირი ინვესტორი ქვეყნები საქართველოში 2013 წლის IV კვარტალის მიხედვით (მლნ. აშშ დოლარი)

	2011				2012				2013*			
	I	II	III	IV	I	II	III	IV	I	II	III	IV
სულ	**210**	**248**	**317**	**343**	**261**	**218**	**199**	**234**	**226**	**232**	**239**	**217**
მათ შორის:												
აზერბაიჯანი	20	29	43	46	15	26	-5	23	38	22	-37	72
ნიდერლანდები	39	21	108	74	-99	69	34	32	35	65	32	48
გაერთიანებული სამეფო	39	5	6	5	24	14	16	40	18	-22	29	22
ლუქსემბურგი	2	2	9	30	26	6	2	8	1	121	6	16
რუსეთი	21	12	8	14	5	1	11	4	1	-3	-13	14
კვიპროსი	20	1	2	-13	22	6	6	4	5	-110	-8	10
უკრაინა	0	1	1	0	1	1	-2	-1	0	0	18	7
მალტა	0	4	1	0	6	10	5	12	4	2	29	7
გერმანია	7	7	7	4	129	4	-3	8	6	0	4	7
თურქეთი	16	22	28	10	6	16	40	19	-1	38	31	6
დანარჩენი ქვეყნები	44	143	103	173	125	67	94	85	118	119	148	6

*წინასწარი მონაცემები.

2013 წლის IV კვარტალში უმსხვილესი პირდაპირი უცხოური ინვესტორი ქვეყნების პროცენტულ სტრუქტურას გვიჩვენებს სექტორული დიაგრამა №7, რომლის მიხედვით პირველ ადგილზე აზერბაიჯანი იმყოფება 33 პროცენტით, მეორეზე ნიდერლანდები – 22 პროცენტით, ხოლო მესამეზე გაერთიანებული სამეფო – 10 პროცენტით.

დიაგრამა №7.

უმსხვილესი ინვესტორი ქვეყნების წილი 2013* წლის IV კვარტალში



*წინასწარი მონაცემები.

პირდაპირი უცხოური ინვესტიციების განაწილება 2013 წლის IV კვარტალის მიხედვით ეკონომიკის სექტორების ჭრილში მოცემულია ცხრილში №7:

ცხრილი №7. პირდაპირი უცხოური ინვესტიციები ეკონომიკის სექტორების მიხედვით 2011-2013* წწ.
(მლნ. აშშ დოლარი)

	2011				2012				2013*			
	I	II	III	IV	I	II	III	IV	I	II	III	IV
სულ	**210**	**248**	**317**	**343**	**261**	**218**	**199**	**234**	**226**	**232**	**239**	**217**
მათ შორის:												
ენერგეტიკა	38	-7	82	91	30	59	45	45	42	66	33	56
საფინანსო სექტორი	38	27	48	56	66	16	49	33	65	13	48	44
დამამუშავებელი მრეწველობა	48	24	18	30	71	34	20	43	11	59	17	36
ტრანსპორტი და კავშირგაბმულობა	1	61	29	37	-8	48	22	11	12	46	47	33
სოფლის მეურნეობა	2	2	6	4	5	5	5	1	4	4	11	13
სამთომოპოვებითი მრეწველობა	20	-7	12	15	8	-14	10	1	13	10	11	2
უძრავი ქონება	9	57	49	109	16	14	0	24	0	12	13	2
დანარჩენი სექტორები	53	92	73	1	75	57	48	75	79	22	59	29

*წინასწარი მონაცემები.

უმსხვილესი სექტორების წილმა (განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მიხედვით) 2013 წლის IV კვარტალში 86 პროცენტი შეადგინა. ყველაზე მეტი პირდაპირი უცხოური ინვესტიცია ენერგეტიკის სექტორში განხორციელდა და 56 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა, რაც მთლიანი პირდაპირი უცხოური ინვესტიციების 26 პროცენტია. მეორე ადგილზე იმყოფება საფინანსო სექტორი 44 მლნ. აშშ დოლარით, ხოლო მესამეზე - დამამუშავებელი მრეწველობა 36 მლნ. აშშ დოლარით.

ეკონომიკის სექტორების მიხედვით 2013 წლის IV კვარტალში განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების პროცენტული განაწილება მოცემულია დიაგრამაში №8:

დიაგრამა №8.

უმსხვილესი პირდაპირი უცხოური ინვესტიციები ეკონომიკის სექტორების მიხედვით 2013* წლის IV კვარტალში



*წინასწარი მონაცემები.

წყარო:

1. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური (სტატისტიკური გამოკვლევა „საგარეო ეკონომიკური საქმიანობის შესახებ“);
2. საქართველოს ეროვნული ბანკი;
3. საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო;
4. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო.

შენიშვნა: ცალკეულ შემთხვევებში მცირე განსხვავება საბოლოო შედეგსა და შესაკრებთა ჯამს შორის აიხსნება მონაცემთა დამრგვალებით.

განმარტება: ინვესტორის მიმართ ვალდებულების შემცირებაში იგულისხმება დივიდენდების გაცემა, სავაჭრო კრედიტის დავალიანების დაფარვა, სესხისა და პროცენტის თანხის გადახდა.

2013 წლის დაზუსტებული მონაცემები გამოქვეყნდება 2014 წლის 15 აგვისტოს.

საკონტაქტო პირი: ლია ძებისაური, ტელ.: (+995 32) 36 72 10 (300). E-mail: ldzebisauri@geostat.ge info@geostat.ge
www.geostat.ge, info@geostat.ge